**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი  ს ა ბ ჭ ო**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/25

**ქ. ბათუმი** **16 აგვისტო, 2019 წელი**

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №63 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/88 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

**გადაწყვიტა:**

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, წესის (გადაწყვეტილების დანართი 1-ში) მე-14 მუხლის 14.1 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ვ)** სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიური შეფასების გათვალისწინებით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და რექტორის მოადგილის კოორდინირებით, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშისა და რეკომენდაციების საფუძველზე, დასაქმებულის სავალდებულო ყოველწლიური აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა რექტორის ბრძანებით შეიძლება შემცირდეს შემდეგი ოდენობით: ტომსონ როიტერის იმპაქტ ფაქტორის მქონე Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისთვის/ სტატიებისთვის - არაუმეტეს 90 საათისა ან Web of Science-ში ინდექსირებულ (იმპაქტ ფაქტორის არ მქონე) სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისთვის/

სტატიებისთვის - არაუმეტეს 60 საათისა ან ERIH PLUS ან Scopus-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისთვის/სტატიებისთვის - არაუმეტეს 30 საათისა. თანაავტორობის შემთხვევაში შესაძლებელია აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა შემცირდეს მხოლოდ ამ პუნქტით გათვალისწინებული საათების რაოდენობის ფარგლებში, ავტორთა რაოდენობის გათვალისწინებით.“

2. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ კონსოლიდირებული ვერსიის მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და კონსოლიდირებული წესის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**

**პროფესორი** **დავით ბარათაშვილი**